სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: საბაკალავრო
მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
პროგრამის შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური

შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური

შიდასაუნივერსიტეტო ტური ჩატარდება გასაუბრების ფორმატში, რომლის ფარგლებში შემოწმდება კონკურსანტის მოტივაცია და სფეროს შესახებ ზოგადი ცოდნა.
კონკურსანტი შეფასდება 30-ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 16 ქულაზე ნაკლები, ის გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

გასაუბრებას ჩაატარებს და კონკურსანტს შეაფასებს დარგობრივი კომისია შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) <u>ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულებით:</u>

	კრიტერიუმი	**ქულა**
1.	**საბაზისო შემოქმედებითი უნარები**	**20**
	კონკურსანტს გააჩნია საჯარო ან კერძო სკოლადამთავრებულისგან მოსალოდნელი მუსიკის საფუძვლების საბაზისო ცოდნა	0-10
	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას მუსიკის ტექნოლოგიის ზოგიერთი ასპექტის, აკუსტიკური და/ან ელექტროაკუსტიკური მუსიკის ცალკეული სტილის/სტილების, ჟანრის/ჟანრების, კომპოზიტორების, შემსრულებლების, ბენდებისა და/ან მუსიკალური ნიმუშების შესახებ.	0-10
2.	**მოტივაცია**	**10**
	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას დარგის შესახებ, გამოხატავს მუსიკის შესწავლის სურვილს და მზადყოფნას სწავლის პროცესში მოსალოდნელი გამოწვევების გადასალახად.	0-5
	კონკურსანტი ავლენს მსჯელობისა და არგუმენტაციის უნარებს: ნათლად აყალიბებს და გასაგებად გადმოსცემს აზრს; საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად დასაბუთება.	0-5
	სულ:	**30**

ბ) <u>საშემსრულებლო მიმართულებით (ჯაზი და საკლავიშო ხელოვნება):</u>

	კრიტერიუმი	**ქულა**
1.	**საბაზისო სმენითი და საშემსრულებლო უნარები**	**20**

	კონკურსანტი ავლენს სმენით და სიმღერის ან/და მინიმუმ ერთ საკრავზე დაკვრის უნარებს, რომლებიც საჭიროა მიმართულების სმენითი და საშემსრულებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ტესტის საერთო ხანგრძლივობა 15-20წთ. ჯაზის ხელოვნების მიმართულებით შემოწმდება კონკურსანტის: ● მელოდიო-ჰარმონიული სმენისა და რიტმის შეგრძნების უნარები (5 ქულა) ● მარტივი ვოკალური / ინსტრუმენტული პიესის შესრულების უნარი (10 ქულა) საკლავიშო ხელოვნების მიმართულებით შემოწმდება: ● კონკურსანტის მიერ შერჩეული აკადემიური რეპერტუარიდან შერჩეული ნებისმიერი ეპოქის ნაწარმოები/ები (პროფესიულად ორიენტირებული მუსიკალური სკოლების/სასწავლებლების მე-8, მე-9 კლასების დონე).	0-15
	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას აკადემიური მუსიკის ცალკეული სტილის/სტილების, ჟანრის/ჟანრების, კომპოზიტორების, შემსრულებლების, და/ან მუსიკალური ნიმუშების შესახებ.	0 -5
2.	**მოტივაცია**	**10**
	კონკურსანტი ავლენს ზოგად ცოდნას დარგის შესახებ, გამოხატავს მუსიკის შესწავლის სურვილს და მზადყოფნას სწავლის პროცესში მოსალოდნელი გამოწვევების გადასალახად.	0-5
	კონკურსანტი ავლენს მსჯელობისა და არგუმენტაციის უნარებს: ნათლად აყალიბებს და გასაგებად გადმოსცემს აზრს; საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად დასაბუთება.	0-5
	სულ:	**30**